თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3991521

ნომერი: AR1602031

თარიღი : 18.05.2018

გაცემის თარიღი : 01.06.2018

გაცნობის თარიღი : 01.06.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქიაჩელი , N 15, N15ა, N17ა, N19 , (ნაკვეთი 022/058);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ილია ინჯია პ/ნ 01007000232
- ქიაჩელი 9

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1602031 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ქიაჩელი ქ. #15, #15ა, 317ა, #19-ში, #01.15.03.022.058 საკადასტრო ერთეულზე მიმდინარე მშენებლობის შეჩერებას და ასევე ითხოვთ ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2018 წლის 09 თებერვლის #3814440 ბრძანებით ქ. თბილისში, ქიაჩელი ქ. #15, #15ა, 317ა, #19-ში, შპს "ქიაჩელი რეზიდენსი"–ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე, (ს/კ #01.15.03.022.058) შეთანხმდამრავალფუნქციური შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.

2018 წლის 13 მარტის #3860027 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა.

სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მათი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ასევე გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, ქ. თბილისში, ქიაჩელი ქ. #15, #15ა, 317ა, #19-ში, #01.15.03.022.058 საკადასტრო ერთეულზე (თქვენს მიერ რუკაზე მონიშნულ ტერიტორიაზე) სამსახურში ამ ეტაპზე მშენებლობის ნებათვის გაცემასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით.

ამასთან განგიმარტავთ, იმისათვის რომ დაცული იქნას როგორც ნებართვის მაძიებლის, ასევე იმ პირების ინტერესები, რომელთა კანონით დაცულ ინტერესებზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს სამშენებლო სამუშაოები, საჭიროა თქვენს მიერ წარმოდგენილი „შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტი“-ზე ნათლად და გარკვევით დაფიქსირდეს რატომ ეწინააღმდეგებით კონკრეტულ სამშენებლო სამუშაოებს. (რა ნორმებს ეწინააღმდეგება შესათანხმებელი სამშენებლო სამუშაოები) და რა ზიანი შეიძლება მოგადგეთ განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოებით.
საჭიროების შემთხვევაში ასევე წარმოდგენილ უნდა იქნას თქვენს მიერ დაფიქსირებული გარემოებების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია.
სამსახური მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარების თაობაზე წარმოდგენილი კონკრეტული განცხადების განხილვისას, განიხილავს ამ ობიექტთან დაკავშირებით თქვენ მიერ წარმოდგენილ შეტყობინებასაც, ზეპირი მოსმენის სხდომის ჩატარების გარეშე. რის შედეგადაც სამსახური მიიღებს კანონმდებლობის შესაბამის გადაწყვეტილებას ყველა დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე.
ობიექტის სამშენებლო განვითარების შესახებ თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ- გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.